პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 228 (10314) | კვირა, 25 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი

მოსკოვი, კრემლი — *1955 წლის 19 სექტემბერი*

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

მე ვგრძნობ, რომ საჭიროა გულწრფელად და გულახდილად გაგიზიაროთ აზრები საკითხზე, რომელმაც ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. მე მხედველობაში მაქვს საკითხი, რომელსაც ახლა ჩვენი წარმომადგენლები განიხილავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში.

ყენევაში ჩვენი სამახსოვრო შეხვედრების მსვლელობაში შევთანხმდით ვიმუშაოთ ერთად განიარაღების მისაღები სისტემის შესამუშავებლად. როცა ჩვენ დავამტკიცეთ დირექტივები ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი ამ საკითხზე, მე გავიფიქრე: გაკეთებულია დიდი საქმე, ახლა ჩვენი ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც დაეყრდნობიან ამ დირექტივებს და თავიანთ მუშაობაში ანგარიშს გაუწევენ ყენევაში ოთხი მთავრობის მეთაურთა მიერ წამოყენებულ აზრებსა და წინადადებებს, შეუძლიათ მიაღწიონ და კიდევაც უნდა მიაღწიონ გარკვეულ პროგრესს.

მე და ჩემი კოლეგები ვფიქრობდით, რომ ჩვენი წარმომადგენლები თავიანთი მუშაობის დასაწყისშივე აღნიშნავენ საერთო თანხმობას იმ ძირითად საკითხებზე, რომელთა შესახებ თვალსაზრისები ან უკვე ემთხვევიან ერთმანეთს, ანდა მნიშვნელოვნად დაახლოვდნენ. მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, საკითხი ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დონის შესახებ, ატომური იარაღის აკრძალვის ძალაში შესვლის ვადების საკითხი და საერთაშორისო კონტროლის საკითხი. ამრიგად, შეიქმნებოდა სოლიდური საფუძველი შემდგომი მუშაობისათვის, რომლის მსვლელობაში შეიძლებოდა დაგვეზუსტებინა განიარაღების მისაღები სისტემის შემუშავების შესახებ საჭირო შეთანხმებათა ყველა დეტალი.

მაგრამ ქვეკომიტეტის მუშაობის პირველ კვირეებს ჯერ არ მოუციათ ის შედეგები, რომელთა იმედი ჩვენ თქვენთან ერთად სამართლიანად გვქონდა. და მე გულახდილად უნდა ვთქვა, რომ შეფერხება წარმოიეს მნიშვნელოვანწილად იმიტომ, რომ ქვეკომიტეტის წევრებისათვის დღემდე ცნობილი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოზიცია იმ დებულებათა მიმართ, რომლებიც ჩვენ ყველა საფუძველი გვქონდა შეთანხმებულად მიგვიჩნია. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მთლიანად დატოვა განზე შეიარაღებული ძალების, შეიარაღების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხები და სურვილი გამოთქვა უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად განახილოს თქვენი წინადადება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ, აგრეთვე ორივე ქვეყნის ტერიტორიების ურთიერთ აეროფოტოგადაღებათა შესახებ. ამრიგად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს განიარაღების მთელ პრობლემას იგი ამ წინადადებებით ამოწურავს.

ვფიქრობ, რომ საკითხის ასეთი დასმა არ შეეფერება ხალხთა მისწრაფებას, თუმცა სავსებით წარმოდგენილი მაქვს, რომ დიდმნიშვნელოვანია წინადადებანი, რომლებიც თქვენ ყენევაში შემოიტანეთ.

მაგრამ რამდენადაც მე და ჩემს კოლეგებს დაგვებადა აღნიშნული შთაბეჭდილება, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ერთხელ კიდევ გაგიზიაროთ, პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, პრინციპული ხასიათის რამდენიმე მოსაზრება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთავარი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ მივიღოთ შემდგომი ღონისძიებანი ისეთი გზების გამოსანახავად, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა მკვდარი წერტილიდან დაგვეძრა განიარაღების პრობლემა, რომელსაც სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებისათვის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხებისთვისაც.

ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ შევეხო წინადადებებს, რომლებიც ყენევაში თქვენ წამოაყენეთ. ამ წინადადებებს ჩვენ ვაფასებთ როგორც თქვენი იმ გულწრფელი მისწრაფების დადასტურებას, რომ გამონახოთ საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის დიდმნიშვნელოვანი პრობლემის მოწესრიგების გზა და თქვენი წვლილი შეიტანოთ საერთო ღონისძიებებში, რომელთა მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაცია.

ყენევიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ დიდი დაწვრილებით ვსწავლობთ თქვენს 21 ივლისის წინადადებას, რომელიც 30 აგვისტოს შეიტანა განიარაღების ქვეკომიტეტში ბ-ნმა სტასენმა. ამ შესწავლის მსვლელობაში ჩვენ დაგვებადა მთელი რიგი საკითხები, რომელთა შესახებ მე მსურს მოგახსენოთ ჩემი მოსაზრებანი.

უწინარეს ყოვლისა — ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მიერ თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესახებ ინფორმაციის ურთიერთ წარდგენის შესახებ.

პრინციპულად ეს წინადადება ჩვენს შორის წინააღმდეგობას არ იწვევს. მე ვფიქრობ, რომ გარკვეულ სტადიაში ასეთი ცნობების გაცვლა სახელმწიფოთა შორის საჭიროა. ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომ ასეთი ცნობები შეიარაღების შესახებ წარადგინოს ყველა სახელმწიფომ და არა მარტო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა კონტროლისა და ინსპექციის იმ საერთაშორისო ორგანოში, რომლის შექმნაზე უნდა შევთანხმდეთ. გაუგებრობა რომ არ წარმოიშვას, შეიარაღების შესახებ ცნობების წარმოდგენა, ცხადია, უნდა ეხებოდეს ყველა სახეობის შეიარაღებას — როგორც ჩვეულებრივს, ისე ატომგულის შეიარაღებას. თუ ეს მოსაზრებანი სწორია, მაშინ ასეთ შემთხვევაში მოგვიხდება გულმოდგინედ განვიხილოთ, სახელდობრ როდის უნდა წარმოვადგინოთ ეს სრული ცნობები სახელმწიფოთა შეიარაღების შესახებ, უწინარეს ყოვლისა დიდ სახელმწიფოთა მთელი შეიარაღების შესახებ.

თავისთავად ფიქრობს, რომ აღნიშნული ცნობების წარდგენას საერთაშორისო საკონტროლო ორგანოში თავისი მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიენიჭება, თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება შეიარაღების შემცირებისა და ისეთ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომელთა მიზანია ატომური იარაღის აკრძალვა.

მე მგონია, რომ საკითხი ისეთი საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც განიარაღების ამოცანებს შეესაბამება, უნდა განვიხილოთ იმ გადაწყვეტილებებთან განუყოფელ კავშირში, რომლებიც მიღებულ იქნება თანდათანობით განიარაღების გეგმის განხორციელებისათვის. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სამხედრო ინფორმაციის ნამდვილად სრულფასოვანი გაცვლის უზრუნველყოფა მით უფრო რეალური იქნება, რაც უფრო განმტკიცდება ურთიერთ ნდობა სახელმწიფოთა შორის.

მინდა აზრი გამოვთქვა აგრეთვე აეროფოტოგადაღებათა საკითხზე.

არ მეეჭვება, რომ თქვენ, როცა შემოგქონდათ წინადადება ჩვენი ორი ქვეყნის ტერიტორიის ურთიერთ აეროფოტოგადაღებათა წარმოების შესახებ, ხელმძღვანელობდით კანონიერი მისწრაფებით შეგექმნათ იმის რწმენა, რომ ამ ორი ქვეყნიდან არც ერთს არ დაესხმის თავს მეორე ქვეყანა.

მაგრამ ვიყოთ ბოლომდე გულახდილნი. ორივე ჩვენი ქვეყანა თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში მარტო როდი გამოდის. ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ცნობილია, მეთაურობენ ყველასათვის ცნობილ სამხედრო დაჯგუფებებს დასავლეთსა და აღმოსავლეთში, ამასთან მათი შეიარაღებული ძალები განლაგებული არიან არა მარტო ამერიკის ტერიტორიაზე. ისინი განლაგებული არიან ინგლისში, დასავლეთ გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, საბერძნეთში, თურქეთში და ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში, იაპონიაში, ტაივანზე, ფილიპინებზე და სხვ. ამას უნდა დავძინოთ, რომ მთელი რიგი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალები ორგანულად დაკავშირებული არიან ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებთან და არიან ერთიან სარდლობაში.

ამ პირობებში საბჭოთა კავშირიც სამხედრო მხრივ გაერთიანდა მთელ რიგ მოკავშირე სახელმწიფოებთან.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ თქვენ მიერ შემოტანილი წინადადება სრულებით არ იღებს მხედველობაში შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო ნაგებობებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. ამავე დროს სავსებით ცხადია, რომ აეროფოტოგადაღებათა განხორციელება უნდა გავრცელდეს მთელ შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო ნაგებობებზე, რომლებიც სათანადო სახელმწიფოთა ტერიტორიაზე იმყოფებიან. ეს აყენებს სრულიად ახალ საკითხს — ნებას დართავენ თუ არა ამ სახელმწიფოთა მთავრობები თავიანთ სუვერენულ ტერიტორიაზე უცხოეთის ავიაციას აწარმოოს აეროფოტოგადაღება.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ აეროფოტოგადაღებათა საკითხი არ არის ის საკითხი, რომელიც ახლანდელ პირობებში ხელს შეუწყობდა ეფექტიან წინსვლას სახელმწიფოთა უშიშროების უზრუნველყოფისა და განიარაღების წარმატებით განხორციელების გზაზე.

ასეთი დასკვნა იბადება მით უფრო, რომ თქვენს წინადადებაში, საბუნებაროდ, სრულებით არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ საჭიროა შეიარაღების შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ახლა სულ უფრო ხშირად კითხულობენ, — რაღას მოგვცემს წინადადება აეროფოტოგადაღებათა და ინფორმაციის შეგროვების შესახებ გამლებული შეიარაღების შეწყვეტისათვის? თუ ასეთი წინადადება ხელს არ უწყობს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავიდან არ გვაშორებს ახალი ომის საფრთხეს, არ ამუშუებს ტვირთს, რომელიც ამასთან დაკავშირებით ხალხებს აკისრიათ. შეეფერება თუ არა ეს წინადადება იმას, რასაც მისგან მოელის ჩვენი სახელმწიფოებისა და ყველა ქვეყნის მოსახლეობა?

დასასრულ, არ შეიძლება არ დავუფიქრდეთ იმასაც, თუ რა გამოვიდოდა, ჩვენ რომ დაგვეწყო აეროფოტოგადაღებისა და სამხედრო ინფორმაციის გაცვლის საკითხებზე მუშაობა და არ მიგვეღო შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ეფექტიანი ღონისძიებანი. მე მაქვს საფიქრებელი, რომელიც არ შემიძლია არ გაგიზიაროთ: ასეთი მდგომარეობა ხომ არ გამოიწვევს სიფხიზლის შესუსტებას მშვიდობის დარღვევის ჯერ კიდევ არსებული საფრთხის მიმართ, რასაც ბადებს გამალებული შეიარაღება?

ჩემ მიერ გამოთქმული შენიშვნები სრულიადაც არ ნიშნავენ იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივაღწიოთ შეთანხმებას განიარაღების პრობლემის მნიშვნელოვან ასპექტებზე. მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რომ არის ამ პრობლემის მეტად არსებითი მხარეები, რომელთა შესახებ ჩვენი პოზიციები იმდენად დაახლოებულია, რომ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ გარკვეული შეთანხმებულობა.

ავიღოთ ისეთი საკითხი, როგორც არის დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების დონის დადგენა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. თავდაპირველად იმ დონის დაწესების იდეა, სადამდეც უნდა შემცირდეს დიდი ხუთეულის შეიარაღებული ძალები, როგორც ცნობილია, წამოაყენა თქვენმა მთავრობამ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად 1952 წელს. განიარაღების საქმისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე საერთო შეთანხმების მიღწევის ინტერესებისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ განხილვის საფუძვლად მივიღოთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ეს ერთობლივი წინადადება. მაშასადამე, ამ საკითხში ჩვენს შორის არსებობს საერთო თვალსაზრისი. მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა აღვნიშნა ჩვენს შორის მიღწეული ეს შეთანხმება.

ატომური იარაღის საკითხზე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამჟამად, როცა მსოფლიოს უდიდეს არმიებს შეიარაღებაში აქვთ მასობრივი მოსპობის ისეთი საშუალებანი, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღი, არ შეიძლება, რა თქმა უნდა, ვილაპარაკოთ განიარაღებაზე და არ შევეხოთ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს. ამიტომ ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემას ჩვენ მუდამ პირველხარისხოვან მნიშვნელობას ვაძლევდით. ამ პრობლემის განხილვისას უთანხმოებათა ერთ-ერთი არსებითი საგანი იყო საკითხი ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის ძალაში შესვლის ვადების შესახებ. ვისწრაფვოდით რა დაგვეახლოებინა მხარეთა პოზიციები და ამრიგად გაგვეადვილებინა და დაგვეჩქარებინა შეთანხმების მიღწევა ამ საკითხზე, ჩვენ დავეთანხმეთ ატომური იარაღის ხმარების აკრძალვის ძალაში შესვლის იმ ვადებს, რომლებიც ამა წლის აპრილში ლონდონში წარმოადგინეს ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში.

მე ვფიქრობ, თქვენ დაეთანხმებით იმას, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ წამოყენებული და საბჭოთა კავშირის მიერ მიღებული წინადადება იმ საკითხზე, თუ რა ეტაპზე უნდა შევიდეს ძალაში ატომური იარაღის ხმარების აკრძალვა, შეეფერება ჩვენს საერთო ინტერესებს. სასურველი იქნებოდა, — და ეს, ჩემი შეხედულებით, სავსებით განსახორციელებელია, — შევთანხმებულიყავით ამ საკითხეც.

შემდეგ, მიზანშეწონილად გვეჩვენება, რომ ჩვენ უკვე ახლა შევთანხმებულიყავით მთელ რიგ ისეთ ღონისძიებათა განხორციელებაზე, რომელთა მიზანი ის არის, რომ არ დაუშვან ერთი სახელმწიფოს უეცარი თავდასხმა მეორეზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს შეეფერება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ინტერესებს და ამ მხრივ შეიძლებოდა შევთანხმებულიყავით აღნიშნული ამოცანის მიმართ კონტროლის სათანადო ფორმაზეც.

თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, როგორც სამხედრო კაცმა, საკუთარი გამოცდილებით იცით, რომ თანამედროვე ომი მოითხოვს სომარ მოქმედებაში ჩაბმულ იქნან მრავალმილიონიანი არმიები და დიდძალი სამხრეთლო ტექნიკა. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეულ პუნქტებს, სადაც შეიძლება მოხდეს დიდი სამხედრო შენაერთების თავმოყრა, რომელთა შეიარაღებაში იქნება მთელი ეს სამხედრო ტექნიკა. ჩვენ მიერ წამოყენებული კონტროლის სისტემა — საკონტროლო საგუშაგოების შექმნა დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებსა და აეროდრომებზე — ნავარაუდევია იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ დიდი მასშტაბებით ომარებისა და სომარი ტექნიკის საშიში კონცენტრაცია და, ამრიგად, მოვსპოთ შესაძლებლობა ერთი ქვეყნის უეცარი თავდასხმისა მეორეზე. ასეთი საგუშაგოების დაწესება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარების გზაზე.

ჩემი შეხედულებით, ჩვენს წინადადებას საკონტროლო საგუშაგოების შესახებ ის უპირატესობა აქვს, რომ იძლევა გარკვეულ გარანტიას, რომ ერთი სახელმწიფო უეცრად არ დაესხას თავს მეორეს.

მე ვფიქრობ, თქვენ დაეთანხმებით იმას, რომ ჩვენ მიერ შემოტანილ წინადადებებს შეიარაღებული ძალების დონის შესახებ, ატომგულის იარაღის აკრძალვის ძალაში შესვლის ვადების შესახებ, აგრეთვე საკონტროლო საგუშაგოების დაწესების შესახებ, შეუძლიათ ხელი შეუწყონ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას და მშვიდობის განმტკიცებას. ამიტომ მე ვერ ვხედავ საფუძვლებს, თუ რატომ არ უნდა შევთანხმდეთ ამ საკითხებზე შეთანხმების მისაღწევად. ოთხი სახელმწიფოს ასეთ ერთობლივ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან იგი მილიონობით ადამიანს გულში ჩაუნერგავდა იმის რწმენას, რომ განიარაღება საკუთარ განსახორციელებელია და რომ ამ მიმართულებით გადადგმულია რეალური ნაბიჯები. ამ საკითხებზე შეთანხმება გზას გაუხსნიდა სხვა საკითხების მოწესრიგებას, რომლებიც განიარაღების პრობლემას შეეხებიან. იგი ხელს შეუწყობდა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების იმ ატმოსფეროს განმტკიცებას, რომელსაც დასაბამი მივეცით ყენევაში, და შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს განიარაღებისა და განიარაღებისადმი კონტროლის უფრო ფართო პროგრამის განხორციელებისათვის.

ამ მოსაზრებათა გამოთქმისას, ბ-ნო პრეზიდენტო, მე ვხელმძღვანელობდი გულწრფელი მისწრაფებით — განიარაღების პრობლემაზე აზრების გულახდილი გაზიარებით მიგვეწია უკეთესი ურთიერთგაგებისათვის, რათა გაგვადვილებინა ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღება.

რამდენადაც ამ საკითხების გადაწყვეტა უმთავრესად დამოკიდებულია ყენევის თათბირის მონაწილე ოთხ დიდ სახელმწიფოზე, მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს ამ წერილის პირები გავუგზავნო ბატონ იდენსა და ბატონ ფორს და იმედი მაქვს, რომ ამას თქვენ სწორად გაიგებთ.

იმედი მაქვს მალე მივიღებ თქვენგან მოსაზრებებს ამ წერილში აღძრულ საკითხებზე.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ბულგანინი.

მის აღმატებულებას
დუაიტ დ. ეიზენჰაუერს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.
ვაშინგტონი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა

ასრულებენ რა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის შესახებ და გაიჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების (სიმინდის გარდა) სახელმწიფო გეგმა. პურის ჩაბარება გრძელდება. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარდება და მიეყიდება სულ ცოტა ერთი მილიონი ფუთი მარცვლეული, რომლის ანგარიშში უკვე შემოვიდა 300 ათასი ფუთი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აგრეთვე ვადამდე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა და აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა. პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი ჩაბარებულია 73,3 პროცენტი. შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 110 ათასი ცენტნერით მეტი და აბრეშუმის პარკი 2.300 ცენტნერით მეტი. წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარდება სულ ცოტა 50 ათასი ცენტნერი ჩაის ფოთოლი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის რძის პროდუქტიულობის გადიდებას. სამეურნეო წლის 11 თვეში კოლმეურნეობებში თვითეულ ძროხაზე მიღებულია 287 კილოგრამით მეტი რძე, ხოლო მთლიანი წველადობა გადიდდა 72 პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. სახელმწიფოს ჩაბარდა 166 ათასი ცენტნერით მეტი რძე და 17 ათასი ცენტნერით მეტი ხორცი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდების მიზნით რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ქმნიან უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვების საჭირო მარაგს. სოფლის მეურნეობის აღმავლობაში კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები. მათი აქტიური მონაწილეობით კოლმეურნეობებში აშენდა კაპიტალური სასილოსე ნაგებობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ორჯერ მეტი სილოსის ჩადებას, ვიდრე შარშან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები ყოველ ღონისძიებას იღებენ იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ საშემოდგომო თესვა, საკუთარი თესლით უზრუნველყონ საგაზაფხულო თესვა, შეასრულონ ხორცის, რძის, მატყლის, ყურძნის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმები.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის გუშაგი

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — ტანკისტის დღეს. იგი ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად აღინიშნება როგორც სახელოვანი საბჭოთა ტანკისტების, სატანკო ტექნიკისა და მრეწველობის, მისი მუშაკების მიღწევების საყოველთაო-სახალხო დათვალიერების დღე.

ტანკისტის დღეს წელს ჩვენი ხალხი დღესასწაულობს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე მოპოვებულ ახალ წარმატებათა ვითარებაში. ახორციელებენ რა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებული შემოქმედებითი შრომით ყოველდღიურად ამრავლებენ ჩვენი დიადი სამშობლოს სიმდიდრესა და ძლიერებას, განამტკიცებენ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას. ტანკისტის დღე აღინიშნება ისეთ ვითარებაში, როცა მთელ ჩვენს დიად სამშობლოში გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი შეიარაღებული ძალებით, მათი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ნაწილებით, მამაცი საბჭოთა ტანკისტებით, მათი სახელოვანი გმირული ტრადიციებით.

სამამულო ტანკმშენებლობის განვითარება, ჯავშანსატანკო და მექანიზებული ნაწილების შექმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ბელადის ლენინისა და სტალინის სახელებთან. კომუნისტური პარტიის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მზრუნველობის მეოხებით ჩაეყარა საფუძველი ტანკმშენებლობას. იგი წარმოიშვა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის მძიმე განსაცდელის ჟამს, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო ომის ხანძარში იყო გახვეული, როცა ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ იბრძოდნენ უცხოელი ინტერვენტები და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალები.

განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია ტანკმშენებლობამ ჩვენში პირველი ხუთწლედების პერიოდში, იგი გაიზარდა და დავაუკაცდა მძიმე ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად. საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით შექმნა თავისი მძიმე მრეწველობა, ააშენა ინდუსტრიული გიგანტები, მძლავრი სატანკო ქარხნები, აღზარდა და მოამზადა ტანკმშენებელთა, კონსტრუქტორთა, ტანკისტთა შესანიშნავი კადრები. ომისწინა წლებში საბჭოთა არმიამ მიიღო მსოფლიოში საუკეთესო, დიდი სისწრაფისა და მანევრირების მქონე საშუალო და მძიმე ტანკები, მძლავრი საბრძოლო მანქანები.

სამამულო ომის დღეებში, ომისა, რომელიც ჩვენი ხალხის მთელი სულიერი და მატერიალური ძალების მკაცრი გამოცდა იყო, საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ნაწილებმა, საბჭოთა ტანკისტებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ფაშისტური სამხედრო მანქანის დამსხვრევაში.

ომის მთელ მსვლელობაში სატანკო შენაერთები სხვა გვარეობის ჯარებთან ერთად გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ მტრის ძალებს. ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ნაწილებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს მოსკოვისა და სტალინგრადისათვის მოსკოვისა და სტალინგრადისათვის გაჩაღებულ გრანდიოზულ ბრძოლებში, კურსკის შეერილზე ფაშისტური ურდოების განადგურებაში, მტრის ტერიტორიაზე გაშლილ უდიდეს ბრძოლებში. ფასდაუდებელია საბჭოთა შენაერთების დამსახურება ფაშისტური მონობისაგან ევროპის სახელმწიფოთა განთავისუფლების საქმეში.

სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა ტანკისტების მამაცობას, ვაჟკაცობას, სიმტკიცესა და საბრძოლო უნარს აღტაცებაში მოჰყავდა მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანი, მთელი მოწინავე კაცობრიობა.

ჩვენს ქვეყანაში ავაზაკურად შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილების მხარდამხარ ჯავშანსატანკო და მექანიზებულ ნაწილებში მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილებიც.

სამშობლომ, საბჭოთა ხალხმა ღირსეულად დააფასეს საბჭოთა ტანკისტების მამაცური საბრძოლო საქმეები, ასობით ტანკისტს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, ათასობით ტანკისტი ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული. მათ შორის მრავალი ქართველია.

ახლა საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით ახორციელებს ჩვენი ქვეყნის დიად მშენებლობათა გრანდიოზულ ამოცანებს, შემდგომ განავითარებს და განამტკიცებს მძიმე მრეწველობას — სოციალისტური ეკონომიკისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საფუძველთა-საფუძველს, ახალ მძლავრ წარმატებებს აღწევს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

საბჭოთა ხალხს მაღლა უჭირავს და წინ მიაქვს მშვიდობის დროშა, რომლის გარშემო მჭიდროდ დარაზმულია მსოფლიოს მილიონობით პატიოსანი ადამიანი. ჩვენი ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს მშობლიური საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას, მის ყველა ღონისძიებას, მიმართულს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის შენარჩუნებისაკენ; საბჭოთა ადამიანებს აღფრთოვანებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოციალისტური სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა და ხალხთა შორის მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცება.

მთელი ხალხის მზრუნველობითა და მხურვალე სიყვარულით გარემოსილი ჩვენი შეიარაღებული ძალები, ტანკისტები ყოველდღიურად სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, მტკიცედ დგანან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების, მშობლიური ხალხის მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის საგუშაგოზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ

1955 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით, დაამტკიცა შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, რაც მიღწეულ იქნა მოსკოვში 1955 წლის 13 სექტემბერს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების დროს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბატონ ნ. ს. ხრუშჩოვს

მოსკოვი

მოსკოვში ჩვენი ვიზიტის დროს ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მოვლენა იყო შეხვედრა და აზრთა გაცვლა თქვენთან, ბატონო პირველო მდივანო. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ფინელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ღრმა გაგებამ, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ.

ჩემი გულწრფელი მადლობა თქვენი აქტიური მონაწილეობისათვის ჩვენს ესოდენ წარმატებით დამთავრებულ მოლაპარაკებაში, აგრეთვე ჩვენი ხალხის მიმართ თქვენი კეთილმოსურნეობის ყველა სხვა დადასტურებისათვის.

ურჰო კეკკონენი

ჰელსინკი, 20. IX-55 წ.

ორგანიზებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში

1 ოქტომბერს იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. იგი ჩატარდება პროპაგანდისტული მუშაობის ხაზისაზე შემდგომი ამაღლების, ცხოვრებასთან მისი დაახლოების ნიშნით, კომუნისტების პოლიტიკური განათლების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, პოლიტიკურ სწავლებაში ნებაყოფლობის პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელების ნიშნით.

როგორ მოემზადნენ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობის დაწყებისათვის?

ამ საკითხს მიეძღვნა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია.

თათბირი გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჯაშმა.

როგორც თათბირის მონაწილეთა გამოსვლებმა დაადასტურა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ცალსახოვანებით ემზადებიან პარტიული განათლების სისტემაში მომავალი სასწავლო წლისათვის. მაგრამ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში არის ნაკლოვანებები. პარტიის ზესტაფონის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ა. ლომთათიძემ აღნიშნა, რომ ძირითადს ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში ყველა კომუნისტი, მათი სურვილის გაუთვალისწინებლად, დანაწილეს ორ წრეში. ასეთი ფაქტები გამოვლინდა გულრიფშის, გაგრისა და ზუგდიერთ სხვა რაიონში.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პოლიტიკური განათლების წარმატება დამოკიდებულია ნებაყოფლობის პრინციპის დაცვაზე. კომუნისტებს სრული საშუალება უნდა მივცეთ აირჩიონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლის, თავიანთი პოლიტიკური და საერთო განათლების დონის ამაღლების ფორმები და მეთოდები.

პარტიული ორგანიზაციები განზე არ უნდა ედგნენ კომუნისტების მიერ სწავლის ფორმის არჩევას. პარტიული ორგანიზაციები ვალდებულია არიან გაითვალისწინონ კომუნისტის სურვილი, მისი მიდრეკილება, ცოდნის დონე და წიგნზე მუშაობის ჩვევები, „ურჩიონ მას შეისწავლოს ის, რაც შეესაბამება მის ცოდნას, გამოცდილებასა და სურვილს.

წელს პოლიტიკური სწავლება დაიწყება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მასალების შესწავლით. პოლიტსკოლებში, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისდინარე პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეებში ამას მიეძღვნება პირველი სამი-ოთხი მეცადინეობა. თათბირის მონაწილეები თავიანთ გასვლებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის დროს აუცილებელია ღრმად გაშუქებულ იქნას ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონკრეტული ამოცანები, წარმოების მოწინავე ადამიანებისა და ნოვატორების გამოცდილება.

კომუნისტების პოლიტიკური განათლების ძირითადი ფორმა იყო და არის დამოუკიდებლად სწავლა. ეს გარემოება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გააძლიერონ ყურადღება კადრების პოლიტიკური თვითგანვითარებისადმი. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ა. ოტრბამ აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორიუმებში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტების სურვილის გათვალისწინებით მოეწყობა ციკლები ლექციებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე, პოლიტიკურ ეკონომიაში, ფილოსოფიაში, საერთაშორისო მდგომარეობაზე და სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე.

ლექციური პროპაგანდის წარმატებით დაყენება მოითხოვს დიდ ზრუნვას ლექტორთა კადრების მომზადებისათვის. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პარტიული ბიბლიოთეკის გამგემ ამხ. ხ. როგავამ აღნიშნა, რომ ქალაქში ჩატარებულია ლექტორთა სემინარი, მთელ რიგ მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში შექმნილია ლექტორთა ჯგუფები და ლექტორიუმები. ახალ სასწავლო წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა „მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესახებ პოპულარულ ლექციების მოწყობას.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ჯახრაკიამ თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აუცილებელია პარტიული, საბჭოთა ორგანოების და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობის კოორდინაცია ლექციების მოწყობის საქმეში; ხშირად ლექციები იკითხება დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე, არ არის დაკავშირებული ადგილობრივ ცხოვრებასთან; შეცდომები, მთელ რიგ შემთხვევებში ამორალური საქციელი, რასაც ცალკეული მუშაკები სჩადიან, მოწმობს მათი შეგნებულობის დაბალ დონეს, ქალაქის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური მუშაობის სუსტად დაყენებას.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო კონსულტანტების მუშაობას. პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. დარჯანიამ ილაპარაკა ამაზე, რომ გასულ სასწავლო წელს ბევრი კონსულტანტი ჯერ კიდევ მიმაგრებული იყო თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტთა დიდ ჯგუფზე და ფაქტიურად არაფერს აკეთებდა. წელს თბილისის საქალაქო, სოხუმის, ზობის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული ბიბლიოთეკები აწყობენ, საკონსულტაციო პუნქტებს ცენტრს დამორჩილებულ ადგილებში. ასეთი საკონსულტაციო პუნქტები განსაკუთრებით ესაჭიროებათ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებს. როდესაც ვქმნით ასეთ პუნქტებს — პარტიული ბიბლიოთეკების ფილიალებს, საჭიროა უზრუნველყოთ ისინი ლიტერატურით, გეოგრაფიული რუკებით და სხვა სახელმძღვანელოებით.

როგორც ცნობილია, პარტიულ განათლებაში სერიოზული მნიშვნელობა აქვთ პარტიულ ბიბლიოთეკებს. მათ აქვთ პოლიტიკური ლიტერატურა, თვალსაჩინო სახელმძღვანელოები, ჰყავთ კვალიფიციური კონსულტანტების კადრები და ამიტომ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სწავლებაში. თათბირზე გამოსულთაგან კი იშვიათად თუ ვინმემ ილაპარაკა იმაზე, როგორ ემზადებიან პარტიული ბიბლიოთეკები ახალი სასწავლო წლისათვის. გასულ წელს პარტიული ბიბლიოთეკების წიგნის ფონდებს ცუდად იყენებდნენ. ბევრ ბიბლიოთეკაში არ იყო კატალოგები. სერიოზული ნაკლოვანებები იყო საცნობარო და ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ვალდებული არიან მიიღონ ყველა ღონისძიება, რათა პარტიულმა ბიბლიოთეკებმა უკეთ გადაწყვიტონ მათ წინაშე დასახული დიდი ამოცანები.

თათბირზე აღინიშნა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ კონტროლის გაუწევლობის შედეგად ცალკეული კომუნისტები, რომლებმაც თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი განაცხადეს, არ იჩენენ ინტერესს ლექციებისადმი, თვეობით ხელს არ ჰკიდებენ წიგნს, არ იღებენ მონაწილეობას თეორიულ გასაუბრებაში.

პარტორგანიზაციების ზოგიერთმა მდივანმა სწორად ვერ გაიგო პოლიტიკურ სწავლებაში ნებაყოფლობის პრინციპი და კონტროლს ალარ უწევს იმას, თუ როგორ ასრულებენ კომუნისტები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნას თავიანთი შეგნების ამაღლების შესახებ. წელს პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა, კომსულტანტებმა, სემინარების ხელმძღვანელებმა ყოველდღიური კონტროლი უნდა გაუწიონ პოლიტიკურ თვითგანვითარებას, უფრო ხშირად ესაუბრონ კომუნისტებს, დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ მუშაობენ ისინი წიგნზე. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ოქტომბერშივე დაიწყონ მუშაობა თეორიულმა სემინარებმა თეორიის დამოუკიდებლად შესწავლელთათვის, ეწყობოდეს თეორიული გასაუბრება, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები.

ახალ სასწავლო წელს, როგორც ამას თათბირის მონაწილეთა გამოსვლები მოწმობდა, უფრო ფართო გაქანება ეძლევა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას. კომუნისტების მოთხოვნით ბევრ ქალაქში, რაიონულ ცენტრსა და სოფელ ადგილებში იქმნება თეორიული სემინარები პოლიტიკურ ეკონომიასა და კონკრეტულ ეკონომიკაში. პარტიის თელავის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. კარდენახიშვილმა განაცხადა, რომ რაიონში შექმნილია 14 ასეთი სემინარი. მათ ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად სამუშაოდ გაგზავნილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარებისა და წრეების რაოდენობა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, ტყიბულში. ქ. თბილისის პარტიის კალინინის რაიკომი წელს აწყობს ორწლიან ეკონომიურ სკოლას. კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მუშაობაში უფრო ფართოდ უნდა იქნან მოზიდული საწარმოთა დირექტორები, მთავარი ინჟინრები, გამოცდილი ეკონომისტები.

თბილისში პარტიის ზოგიერთი რაიკომის ლექტორთა ჯგუფებთან შიშად შეიქმნა პოლიტეკონომიის სპეციალური სექციები. ლექციების შემოქმედებითი განხილვა ხელს უწყობდა მათი იდეური დონის ამაღლებას. წელს პოლიტეკონომიის სექციები ეწყობა თბილისის რაიკომების ყველა ლექტორთა ჯგუფთან.

პროპაგანდისტულ მუშაობაში მთავარი მისი მაღალი იდეური შინაარსი, გარუყული კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა პროპაგანდისტების სწორი შერჩევა და მომზადება. ამავე დროს კი ყველა რაიონული და საქალაქო კომიტეტი როდი აქცევს ჯეროვან ყურადღებას პროპაგანდისტთა მუშაობას. მეცადინეობის დაწყებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა, პარტიის აბაშისა და თელავის რაიკომებს კი დღემდე არ ჩაუტარებიათ სემინარების მეცადინეობა.

თათბირზე აღინიშნა, რომ ბევრ პროპაგანდისტს არ აკმაყოფილებს სემინარების მუშაობა, რომლებზეც ნაკლები ყურადღება ექცევა პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკის საკითხებს, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ზ. ჯაველიძემ თქვა, რომ პროპაგანდისტთა სემინარზე შემოდებული იყო პროპაგანდისტთა მიერ ჩატარებული მეცადინეობის შემოქმედებითი გარჩევა. პროპაგანდისტებს დიდ დახმარებას უწევს წარმოების ნოვატორთა, საწარმოების ხელმძღვანელთა გამოსვლები სემინარებზე. მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროპაგანდისტების წინაშე გამოვიდნენ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ამხ. ბუბბურიძე, კროოვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის უფროსი კონსტრუქტორი ამხ. ბობროვი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩინეთის ანშანის მეტალურგიული კომბინატის მუშაობაში, და სხვები. წელს, თქვა ქ. თბილისის პარტიის ლენინის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. გერსსონმა, რაიკომი ეარაუდობს კიდევ უფრო ფართოდ ჩაბას პარტიული და საბჭოთა აქტივი პროპაგანდისტთა სემინარის მუშაობაში.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მოკლე ბიოგრაფიის ახალი გამოცემის გამოსვლასთან დაკავშირებით საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ბევრმა კომუნისტმა სურვილი გამოთქვა ამეცადინოს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელ წრეებში. თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ შექმნილია უკვე ბევრი ასეთი წრე, რომლებისთვისაც გამოყოფილი არიან გამოცდილი, კარგი თეორიული და პოლიტიკური მომზადების მქონე პროპაგანდისტები.

თათბირზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეები მიზანშეწონილია შეიქმნას მხოლოდ იმ ამხანაგებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ პროპაგანდისტების დახმარება ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესწავლის საქმეში.

სიტყვებით გამოსულნი ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ რაიონულ ცენტრებში პარტიული აქტივის მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე დაამთავრა საღამოს პარტიული სკოლები და ამასთან დაკავშირებით რაიკომების საღამოს პარტიული სკოლები შეიძლება შეიქმნას მტსების ზონებში. ამ სკოლებში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული პარტიული ორგანიზაციების მდივნები და მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სხვა აქტივისტები.

თათბირის მონაწილენი ვერ დაეთანხმენ პარტიის აბაშის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. პ. ნოდიას გამოსვლას. მან ვერ შეძლო ეამბნა, თუ რა მუშაობა გასწიეს რაიკომმა, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად.

თათბირზე სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნა რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული პრესა. სიტყვებით გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ გაზეთები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკის გაშუქებას, ცუდად განაზოგადებენ საუკეთესო პროპაგანდისტების გამოცდილებას, ცოტას ბეჭდავენ პროპაგანდისტულ სტატიებს, ლექციებსა და კონსულტაციებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. პოლიტიკური სწავლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები შეიქმნა ჯერ კიდევ სუსტად, ზერელედ, საქმის ღრმა ცოდნის გარეშე.

თათბირის მონაწილეებმა სერიოზული ანგარიში წაუყენეს წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ მოახლოვდა პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყების დრო, ვერ უზრუნველყვეს წიგნის მაღაზიებისათვის მიეწოდებინათ საჭირო ლიტერატურა და თვალსაჩინო სახელმძღვანელოები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ბანძელაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები პოლიტიკური განათლების კომკავშირულ ქსელში სასწავლო წლის დაწყებისათვის მოსამზადებლად.

თათბირზე გამოვიდნენ ავრეთვე საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ამხ. ა. ბაუკაძე და პარტიის ლენინგორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ა. კეტაშვილი.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყება ემთხვევა პარტიული ორგანიზაციების ანგარიშებისა და არჩევნების დაწყებას. პარტიული განათლების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს, — ამბობდნენ თათბირის მონაწილენი, — ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრა დაკავშირებულია მოითხოვს გაუმჯობესდეს იდეოლოგიური მუშაობა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან. პარტიული პროპაგანდა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია. მისი უნარიანი ხელმძღვანელობა ნიშნავს იმას, რომ ღრმად ვსწავლობდეთ კომუნისტთა მოთხოვნილებებს, ეუღვიძებდეთ მათ ინტერესს პოლიტიკური ცოდნისადმი. ამას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმ პირობით, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჯაშმა, — თუ პროპაგანდის მთელი შინაარსი განუყრელად იქნება დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან, თუ პროპაგანდა დაეხმარება კომუნისტებს უნარიანად გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. მჭედლიშვილი.

საერთაშორისო დაძაბულობის შემცირებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე 1955 წლის 23 სექტემბერს

ბატონო თავმჯდომარე, ბატონო დელეგატებო,

როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია, გენერალური ასამბლეა თავის მუშაობას იწყებს საერთაშორისო ვითარების შეფასებით და სახავს თავის მორიგ ამოცანებს. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია გამოთქვას თავისი აზრი, ხელმძღვანელობს რა იმით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ამოცანა, მისი ძირითადი პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად, არის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება.

ეჭვი არ არის, რომ ყველა ხალხი დაინტერესებულია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მშვიდობიანად და დამშვიდებით იცხოვროს, რათა თავისი ძალღონე მოახმაროს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომასა და თავისი კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სწორედ ხალხთა ეს მისწრაფება დაედო საფუძვლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მისი შექმნის დროს ათი წლის წინათ. სწორედ იგი განსაზღვრავს ამჟამადაც საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე ღრმა მიმდინარეობებს.

I.

თანამედროვე მდგომარეობის თავისებურებანი

უკანასკნელი დროის ამბებმა დაგვანახვა, რომ საერთაშორისო ვითარებაში მოხდა ისეთი ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას. ამ ამბებმა დადასტურეს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს უშიშროების, ისევე როგორც მთლიანად საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრა საჭიროა ვეძიოთ არა სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებების შექმნისა და „ცივი ომის“ განგრძობის გზით, არამედ ყველა სახელმწიფოს — დიდი და პატარა სახელმწიფოს — იმ ერთობლივ ღონისძიებათა გზით, რომელთა მიზანია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება. ასეთ ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობა ეკუთვნის აშკარაა განსაკუთრებით იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომისა და მასთან დაკავშირებით მომხდარი დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების შედეგად ევროპასა და აზიაში წარმოიშვნენ სოციალისტური ტიპის მთელი რიგი სახელმწიფოები და რომ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხმა ახლა კიდევ უფრო სერიოზული მნიშვნელობა მიიღო.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით აღინიშნოს იმ დიდი სახელმწიფოების „საბამის ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომლებსაც მოეპოვებათ ყველაზე მძლავრი სამხედრო და მატერიალური რესურსები და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსოფლიოს ბედისათვის.

ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა იყო სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ვითარებაზე. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა 1945 წლის შემდეგ პირველად დაამყარეს პირადი კონტაქტი და მოახდინეს აზრთა გაცვლა მთელ რიგ ყველაზე მნიშვნელოვან და გადაუდებელ საერთაშორისო პრობლემებზე. უკვე თვით ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ იმ ურთიერთობის ხასიათს, რომელიც ოთხ სახელმწიფოს შორის შეიქმნა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე.

ჟენევის თათბირის მნიშვნელობა ის არის, რომ ამ თათბირზე ხელმძღვანელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა გარკვევით გამოხატეს შესაბამის მთავრობათა მისწრაფება — იხმარონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ ხალხები განთავისუფლდნენ ახალი ომის შიშისაგან. ამასთან დაკავშირებით სბკპ-თა მთავრობის მეთაურმა ნ. ა. ბულგანინმა ხაზგასმით აღნიშნა სბკპ-თა კავშირის განუხრელი მისწრაფება ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისადმი. მან განაცხადა, რომ სბკპ-თა მთავრობა ემხრობოდა და ემხრობა ხალხებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაგანი წყობილებაა დამყარებული ამა თუ იმ სახელმწიფოში, რადგან სოციალური და ეკონომიური სისტემის საკითხი ამა თუ იმ სახელმწიფოში მისი ხალხის საშინაო საქმეა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბ-ნმა ეიზენჰაუერმაც, რომლის გამოსვლებს დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა, მხარი დაუჭირა იმას, რომ საჭიროა შეიქმნას ურთიერთპატივისცემისა და ნდობის ატმოსფერო სახელმწიფოების ურთიერთობაში. შეეხო რა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას, მან აღნიშნა, რომ ისტორიულად ორივე ქვეყნის ხალხები მუდამ მშვიდობით ცხოვრობდნენ, რომ ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს შორის არ არის ტერიტორიული დავა ან სავაჭრო მეტოქეობა და რომ ამერიკელ ხალხს სურს იყოს საბჭოთა ხალხის მეგობარი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა იდენმა, რომლის პოლიტიკურ გამოცდილებას ჩვენ ყველანი ვაფასებთ, დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით მხარი დაუჭირა იმას, რომ საჭირო განვითარდეს თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი მშვიდობის ინტერესებისათვის.

საფრანგეთის მთავრობის სახელით საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ფორმაც მხარი დაუჭირა სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების საჭიროებას, იმას, რომ ბოლო მოეღოს „ცივ ომს“.

ეს განცხადებები მოწმობენ, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელმძღვანელი სახელმწიფოთა მოღვაწეები, რომლებიც ჟენევაში შეიკრიბნენ, ითვალისწინებდნენ, რომ საჭიროა ახალი მიდგომა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების, მათ შორის ევროპისა და აზიის გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგებისადმი. ძნელი არ არის შეეხნიოთ განსხვავებანი ჟენევის თათბირის შინაარსსა და საერთო სულისკვეთებასა და იმ განცხადებებს შორის, რომლებსაც ჯერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინათ აკეთებდნენ „ცივი ომის“ განგრძობის საარგებლოდ. მსოფლიოს ხალხებში სახელმწიფო მოღვაწეთა განცხადებებმა მშვიდობის სასარგებლოდ გამოიწვიეს ახალი იმედი და მოლოდინი, რომ ეს განცხადებები მარტო სიტყვებად არ დარჩება.

ჟენევის თათბირის სწორედ იმიტომ შეხვდნენ ასეთი აღფრთოვანებით ხალხები, რომ იგი მოასწავებდა გარკვეულ მობრუნებას სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთობაში, რამაც გავლენა მოახდინა მთლიანად საერთაშორისო ვითარებაზე. მობრუნება მოხდა იმ მხრივ, რომ გამონახულიყო გზები არსებული სიძნელეების გადალახვისადა მოუწესრიგებელ საერთაშორისო პრობლემებზე საერო მეთანხმების მისაღწევად სახელმწიფოთა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარების სულისკვეთებით მოლაპარაკების გზით. სავსებით ცხადია, რომ თათბირზე გარკვეული გავლენა მოახდინა ფართოდ გავრცელებულმა მისწრაფებამ — განიხილონ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები არა ამა თუ იმ დაჯგუფებათა გაძლიერების თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საჭიროების გათვალისწინებით.

თათბირზე, როგორც ცნობილია, ერთბაშად არ გადაჭრილა და არც შეიძლებოდა გადაჭრილიყო პრობლემები, რომელთა შესახებ მთავრობათა მეთაურებს შორის მოხდა აზრთა გაზიარება. ამ პრობლემების გადაჭრა მოითხოვს დროს, მოითხოვს გამძლეობასა და მოთმინებას. არავითარი ილუზია ამ მხრივ ჟენევის თათბირის მონაწილეებს არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, ჟენევაში თათბირის ყველა მონაწილის მეცადინეობის შედეგად შემუშავებულ იქნა შეთანხმებული დირექტივები ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. მინისტრებმა უნდა განაგრძონ მუშაობა, რომელიც თავთავიანთ მეთაურებმა დაიწყეს, და გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოსაწესრიგებლად შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაუდონ აღნიშნული დირექტივები.

ჟენევის თათბირი შემთხვევითი ამბავი როდია. იგი მომზადებული იყო უკანასკნელი დროის ამბების გარკვეული მსვლელობით. იგი შესაძლებელი გახდა, რადგან მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ძალები განმტკიცდა.

ჟენევაში გამართულმა თათბირმა ასახა დიდი ცვლილებები ხალხთა შეგნებაში, რომლებსაც სულ უფრო მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მშვიდობის საქმე, არ დაუშვან, რომ მსოფლიოს კვლავ მოედოს ომის ხანძარი ყველა აქედან გამომდინარე მძიმე შედეგით მრავალი და მრავალი მილიონი ადამიანისათვის. ვინ არ იცის ახლა, რომ უკანასკნელ წლებში გაჩაღებული ხალხთა მოძრაობა მშვიდობისათვის საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების მძლავრი ფაქტორი გახდა.

მშვიდობისადმი ხალხთა შეუდრეკელი მისწრაფება გამოიხატა იმით, რომ ჯერ კიდევ ჟენევის თათბირამდე მოხდა დიდმნიშვნელოვანი ამბები, რომლებმაც ხელი შეუწყეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას.

უკვე ისეთი ფაქტები, როგორიც არის კორეაში დროებითი ზავის დამყარება, აგრეთვე ინდოჩინეთში ომის შეწყვეტა და მისი ხალხების თვითგამორკვევის უფლების აღიარება, ამ პროცესის საკმაოდ ნათელი გამოხატულება იყო. თუმცა ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ ახლანდელ პირობებში არ არსებობს მწვავე მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემები, მაგრამ მთელ მსოფლიოში მშვიდობის ფაქტიური აღდგენა — რაზეც შეიძლება ითქვას ინდოჩინეთის ომის დამთავრების შემდეგ — კეთილსასურველი წანამძღვარი იყო მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირისათვის.

საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დაინტერესებულ მხარეთა სასიამოვნოდ, ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას, როგორიც არის ავსტრიის საკითხი. გამოინახა ამ საკითხის ისეთი მოწესრიგება, რომელიც შეესაბამება როგორც ავსტრიელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ისე ევროპის უშიშროების ინტერესებსაც. ამის შედეგად ავსტრიამ მიიღო სახელმწიფოებრივი თავისთავადობა და დამოუკიდებლობა, თავი დაალწია სხვა სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში ჩაბმას. მან იკისრა ვალდებულება დაიცვას მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და, მაშასადამე, იგი ახლა არ შეიძლება გამოიყენონ სხვა სახელმწიფოთა იარაღად. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შეთანხმდნენ პატივი სცენ ავსტრიის ნეიტრალიტეტს.

ავსტრიის საკითხის ასეთი მოწესრიგება სერიოზული წვლილია ევროპის მშვიდობის საქმეში.

ის ფაქტი, რომ ავსტრიამ გადაწყვიტა აირჩია ნეიტრალიტეტის გზა, საგულისხმოა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის.

მოძრაობა ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელებისათვის ამ ბოლო დროს სულ უფრო ძლიერდება მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებშიც, რომელთა ხალხები სულ უფრო მტკიცედ და გადაჭრით გამოთქვამენ აზრს აგრესიულ სამხედრო ბლოკებსა და კოალიციებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკის სასარგებლოდ. მხედველობაში აქვს რა ეს, საბჭოთა კავშირმა უკვე განაცხადა, რომ მზად არის პატივისცემით მოეკიდოს ასეთი ქვეყნების ნეიტრალიტეტს. მოსალოდნელია, რომ სხვა სახელმწიფოებიც გამოიჩენენ ნეიტრალიტეტის აღნიშნული პოლიტიკის ასეთივე გაგებას, რომელიც შეესაბამება მშვიდობის განმტკიცების მიზნებს.

დაძაბულობის შენელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მობრუნებას სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობაში, რომელიც მიიწიეულ იქნა მიმდინარე წლის გაზაფხულზე იუგოსლავიაში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის გამგზავრების შედეგად. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაცია, რაც შეესაბამება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხალხების ინტერესებსა და მისწრაფებებს, აგრეთვე ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, დიდი წვლილია ევროპის მთელი ვითარების გაუმჯობესების საქმეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე 1955 წლის 23 სექტემბერს

(გაგრძელება).

შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებისა და უმიშროების განმტკიცების საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს, სხვა ქვეყნებთან ერთად, აგრეთვე იაპონიამ. უეჭველია, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ ამჟამად ლონდონში მიმდინარე საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესების შესაბამისი იქნება და ხელს შეუწყობს შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვეს აზიისა და აფრიკის მთელმა რიგმა ქვეყნებმა. მათ ეკუთვნიან ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, პაკისტანი, ცეილონი, ნეპალი, ფილიპინები, ლიბანი, სირია, ისრაელი, იორდანია, ლიბია და სხვ. ზოგიერთი ამ სახელმწიფოთაგანი უკვე ასრულებს თვალსაჩინო როლს მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აზიის მეორე უდიდესი სახელმწიფოს — ინდოეთის როლი. დიდმა ინდოელმა ხალხმა გვიჩვენა არა მარტო თავისი დამოუკიდებლობისათვის მამაცური ბრძოლის მაგალითი, არამედ აგრეთვე მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში სხვა ხალხებთან თანამშრომლობის კარგი მაგალითი.

ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველას შეგვიძლია მხოლოდ ვუსურვოთ აზიისა და აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებს, რომლებიც დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას, თანმიმდევრულად და მამაცურად იცავენ თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობას, ყოველგვარი წარმატება ამ გზაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა საჭირო დახმარება აღმოუჩინოს ამ ქვეყნების ხალხებს, დაიცვას მათი კანონიერი უფლებები, ბოლო მოუღოს ცდებს, რომ ეს სახელმწიფოები ჩააბან იმ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებიც ისახავენ თავიანთ ვიწრო მიზნებს, არ დაუშვას სხვა სახელმწიფოთა ჩარევა მათ საშინაო საქმეებში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი იყო და რჩება თანმიმდევრული მებრძოლი მშვიდობისა და პროგრესის საქმისათვის. ხალხები, რომლებიც იცავენ თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობას, თავიანთ თავისუფლებას, ხალხთა შორის მშვიდობის ინტერესებს, ყოველთვის ჰპოვებენ მის სრულ და აქტიურ თანაგრძნობას.

ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მისწრაფება — გაფართოვდეს ვაჭრობა და სხვა ეკონომიური ურთიერთობა და აღმოიფხვრას არსებული დისკრიმინაცია ვაჭრობის დარგში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

გაფართოვდა კონტაქტი სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ, მეცნიერულ, საქმიან და საზოგადოებრივ წრეებს შორის. სახელმწიფო მოღვაწეთა ვიზიტები, პარლამენტების დელეგაციათა გაცვლა, მეცნიერების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში მიღწევების ურთიერთ გაცნობა, საერთაშორისო ტურიზმის განვითარება, ხელოვნების, სპორტის მოღვაწეთა ურთიერთ სტუმრობა და სხვ. — ყოველივე ეს იმ ღონისძიებათა დიდმნიშვნელოვანი გამოხატულებაა, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან მიმდინარეობს და რომელთა მიზანია ხალხთა ურთიერთობის განმტკიცება და ურთიერთგაგების გაუმჯობესება.

საგულისხმოა, რომ ამ დელეგაციებს დიდი გულთბილობითა და სტუმართმოყვარეობით ეგებება საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, ეგვიპტის, შვეიცარიის, ავსტრიისა და სხვ. მოსახლეობა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ეს მიგვაჩნია ხალხთა იმ მხურვალე სურვილის გამოხატულებად, რომ დამყარდეს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობა, განმტკიცდეს მშვიდობა.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე ის დადებითი როლი, რომელიც შეასრულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამა წლის 9 თებერვლის ცნობილმა დეკლარაციამ და რომელიც შეიცავს მოწოდებას დამყარდეს უშუალო კავშირი პარლამენტებს შორის პარლამენტების დელეგაციების გაცვლის გზით, რაც შეესაბამება ხალხთა დიდ მისწრაფებას მშვიდობიანი თანამშრომლობისადმი. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა პარლამენტის მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ბევრი ქვეყნის პარლამენტების დელეგაციები წელს ეწვევნენ საბჭოთა კავშირს. სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტთა წევრების ასეთი ურთიერთობა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იმ კონტაქტების განვითარებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომლებსაც ჟენევის თათბირი მოითხოვდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თებერვლის დეკლარაცია წარმოადგენს საბჭოთა პარლამენტის მომართვას მსოფლიოს ყველა პარლამენტისადმი. ეს მომართვა ეხება არა მარტო იმ ქვეყნებს, რომლებთანაც სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, არამედ სხვა სახელმწიფოებსაც. გარკვეულ შემთხვევებში პარლამენტებს შორის კავშირის დამყარებას შეუძლია ხელი შეუწყოს აგრეთვე სახელმწიფოთა ურთიერთობის საჭირო მოწესრიგებას.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ბევრ სახელმწიფოში ატომის ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებული მუშაობა საიდუმლოებით იყო მოცული. ამაშიც გამოიხატა ის უნდობლობა, რომელიც არის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. უნდა ითქვას, რომ ახლა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, რასაც მოწმობს მიმდინარე წლის აგვისტოში ჟენევაში გამართული მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხებზე. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ინიციატივას ამ კონფერენციის მოწვევაში. ცნობილია, რომ საბჭოთა მეცნიერებმა მასში უალრესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს და წარადგინეს ასზე მეტი მოხსენება, რომლებიც ამუქებენ საბჭოთა კავშირში ატომის ენერგიის გამოყენების გამოცდილებას ტექნიკის, ბიოლოგიის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის დარგში.

საბჭოთა მეცნიერებმა წარადგინეს აგრეთვე მოხსენება ატომის ელექტროსადგურის მუშაობის გამოცდილების შესახებ, ელექტროსადგურისა, რომელიც აგებულია სსრ კავშირში და პირველია მსოფლიოში. ბევრ უცხოელ წარმომადგენელს საშუალება ჰქონდა ადგილზე გასცნობოდა ამ ელექტროსადგურს.

უეჭველია, რომ მეცნიერთა ჟენევის კონფერენციამ დიდი წვლილი შეიტანა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში. თავის მხრივ საბჭოთა კავშირი აპირებს კიდევ უფრო განავითაროს თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის უფრო ფართოდ გამოყენების საქმეში. ჩვენ აგრეთვე გამოვთქვამთ სურვილს, რომ საფუძველი, რომელიც ხსენებულმა კონფერენციამ შექმნა, განგრძობილ იქნას ყველა ქვეყნის მეცნიერთა ამგვარი თათბირების რეგულარული — თუ შესაძლებელია, ყოველწლიური — მოწვევით არა მარტო ატომის ენერგიის დარგში, არამედ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგებშიც.

ამრიგად, ბოლო დროის მთელმა რიგმა ამბებმა და, განსაკუთრებით, მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა ცხადყვეს, რომ სერიოზული ცვლილებები ხდება ვითარებაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიძნელეები უკვე გადალახულია. ჯერ კიდევ ბევრი ცრურწმენისა და ბარიერის გადალახვა მოგვიხდება ჩვენს წინსვლაში. მაგალითად, ჯერ კიდევ ლაპარაკობენ ეგრეთწოდებულ „სატელიტებზე“. მაგრამ როცა სურთ ამის თქმა აღმოსავლეთ ევროპის ხალხებზე, თავიანთი ჩვეული ცნებები უბრალოდ გადააქვთ ისეთ ქვეყნებზე, რომელთა მიმართ ეს სრულიად შეუფარდებელია. ამ ქვეყნებმა საქმით დაამტკიცეს, რომ მათი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან შეიძლება ნამდვილად ვითარდებოდეს მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტისა და ხალხთა მეგობრობის პრინციპების დაცვის საფუძველზე.

ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ შევქმნათ პირობები, როცა ადამიანებს აღარ ეშინოთ ხვალინდელი დღის შიში. თუ რამდენად იქნება გამოყენებული ეს შესაძლებლობანი და სინამდვილეში რამდენად მიექცევა ყურადღება არა ამა თუ იმ სამხედრო დაჯგუფების შექმნასა და განმტკიცებას, არამედ არსებული მოუწესრიგებელი საერთაშორისო საკითხების გადაჭრას, ამაზე დამოკიდებული იქნება შემდგომი ღონისძიებების წარმატება მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამაზე იქნება დამოკიდებული აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმატება მისი კეთილშობილური მიზნის — მსოფლიოს ხალხებისათვის ნამდვილი უშიშროების უზრუნველყოფის მიღწევაში.

II.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტა ძირითადი ამოცანაა

ახლანდელ პირობებში ძირითად ამოცანად უხდა მივიჩნიოთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა.

ცნობილია, რომ გამალებულმა შეიარაღებამ, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზე, უმაგალითო მასშტაბს მიაღწია. განუწყვეტლივ დიდდება ეგრეთწოდებულ ჩვეულებრივ შეიარაღებათა რაოდენობა. დიდდება აგრეთვე წარმოებული ატომური და წყალბადის იარაღის რაოდენობა, რომელიც ამასთან სულ უფრო და უფრო დამანგრეველი და სულ უფრო საშიში ხდება. უმაგალითოდ გადიდდა სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები, რაც მთელი სიმძიმით აწვება მხრებზე შრომელ ხალხს, მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეებს, წვრილ მესაკუთრეებს. უდიდესი მატერიალური სახსრები, აგრეთვე ადამიანთა ძალები ხმარდება ომისათვის მზადებას იმის ნაცვლად, რომ გამოყენებულ იქნან საწარმოო მიზნებისათვის, ხალხთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნებისა და რაიონებისათვის საჭირო დახმარების გასაწევად.

ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს. საჭიროა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, შეიარაღების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის, ახალი ომის საფრთხის აღმოფხვრის სასარგებლოდ.

ამ მიზნებს შეესაბამება „საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე“. წინადადებათა შესაბამისი პროექტი საბჭოთა მთავრობამ 10 მაისს შეიტანა განიარაღების კომისიაში. საბჭოთა კავშირის ამ წინადადებათა ტექსტი დღეს დაეგზავნა გენერალური ასამბლეის ყველა მონაწილეს.

განიარაღების კომისიაში შეტანილი ახალი საბჭოთა წინადადებანი შეიცავენ იმ ღონისძიებათა კონკრეტულ პროგრამას, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარება, „ცივი ომის“ შეწყვეტა. ამ წინადადებებში აღნიშნულია, რომ საჭიროა შეწყდეს ომის პროპაგანდა, როგორც ეს უკვე გადაწყვიტა გენერალურმა ასამბლეამ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ. საჭიროა ვიზრუნოთ ამ გადაწყვეტილების შესრულებისათვის. საბჭოთა წინადადებებში აგრეთვე ნათქვამია, რომ საჭიროა მივაღწიოთ შეთანხმებას სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ. თუ არ დაიდო ასეთი შეთანხმება, თუნდაც იგი ითვალისწინებდეს შესაბამის ღონისძიებათა თანდათანობით განხორციელებას, შეუძლებელია მიღწეულ იქნას უნდობლობის ნამდვილად აღმოფხვრა სახელმწიფოთა ურთიერთობაში. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ წინადადებებში, ამასთან ერთად, ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ყოველგვარი დისკრიმინაცია, რომელიც ბრკოლებს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, აგრეთვე კონტაქტების გაფართოებას კულტურული კავშირ-ურთიერთობის დარგში, რომ საჭიროა დელეგაციების გაცვლა და სხვ. როგორც თქვენ იცით, ამ საკითხებს ახლა უკვე ყველა მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სსრ კავშირს ხსენებულ წინადადებებში გამოთქმულია აგრეთვე კონკრეტული სურვილები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ გერმანიის პრობლემის გადაჭრის დაჩქარებას და გადაუჭრელი საკითხების მოწესრიგებას შორეულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა წინადადებებში მთავარია ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზე შეიძლება დაიდოს საერთაშორისო კონვენცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ახალი საბჭოთა წინადადებანი შეიარაღების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ დიდი ნაბიჯია წინ განიარაღების საკითხში სსრ კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების შემდგომი დაახლოების მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ დასავლეთის სახელმწიფოთა მოსაზრებებს, რომლებიც მათ წინათ შეიტანეს განიარაღების კომისიაში.

საბჭოთა მთავრობამ მიიღო დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა წინადადება ისეთი საკითხზე, როგორიც არის შეიარაღებული ძალების დონის დაწესება ხუთი სახელმწიფოსათვის, სახელდობრ — საბჭოთა კავშირისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის 1-დან 1,5 მილიონამდე კაცი, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთისათვის — 650 ათასი კაცი თვითეულისთვის. შეთანხმება ამ საკითხში ერთბაშად მოგვცემდა სამხედრო ხარჯების უდიდეს შემცირებას და უდიდესი ნაბიჯი იქნებოდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი დათანხმდა დაწესდეს ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოდგენილი ზღვრული დონე ხუთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის, სრულიად უსაფუძვლოდ ხდის იმ მოსაზრებებს, რომლებსაც წინათ გამოთქვამდნენ ატომური იარაღის აკრძალვის წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ ეს იარაღი თითქოს ანაზღაურებს დასავლეთის სახელმწიფოების ვითომდა არსებულ „ჩამორჩენას“ ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში და რომ ატომური იარაღი თითქოს საშუალებაა იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას „წონასწორობა“ შეიარაღების დარგში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სსრ კავშირის წინადადება შეიარაღებული ძალების დონის შესახებ სავსებით ითვალისწინებს დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას აღნიშნულ საკითხში და გვაძლევს საფუძველს იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი, თავის მხრივ, ისეთ პოზიციას დაიკავებენ ატომური იარაღის საკითხში, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ შეთანხმებას ამ საკითხში.

საბჭოთა კავშირმა გაითვალისწინა აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის წინადადება ატომგულის იარაღის გამოყენების სრული აკრძალვის ძალაში შესვლისა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღების დროის შესახებ. სსრ კავშირის წინადადებაში, ისე როგორც ინგლის-საფრანგეთის წინადადებაში, გათვალისწინებულია, რომ ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვა ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ჩვეულებრივი შეიარაღება და შეიარაღებული ძალები შემცირდება მათი შემცირების საერთო ოდენობის 75 პროცენტით. ხოლო ამ იარაღის ამოღება სახელმწიფოთა შეიარაღებიდან და მისი მოსპობა უნდა განხორციელდეს იმავე დროს, როცა ჩვეულებრივი შეიარაღება შემცირდება გათვალისწინებული შემცირების უკანასკნელი 25 პროცენტით.

არსებით მნიშვნელობას აძლევს რა განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლის ორგანიზაციას, საბჭოთა კავშირი თავის წინადადებებში ითვალისწინებს საკონტროლო ორგანოებისათვის ფართო უფლებებისა და რწმუნებათა მინიჭებას. საბჭოთა წინადადება იმის შესახებ, რომ ნაცვალგების საწყისებზე დაწესდეს შესაბამის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საკონტროლო საგუშაგოები რკინიგზის კვანძებში და ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე და დიდ საზღვაო ნავსადგურებში, ქმნის საჭირო პირობებს ეფექტიანი კონტროლის დაწესებისათვის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას ერთი სახელმწიფოს უეცარი თავდასხმა მეორეზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე ომი მოითხოვს დიდი სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების თავმოყრასა და გაშლას. წინადადება საერთაშორისო საკონტროლო ორგანოსადმი დაქვემდებარებული საკონტროლო საგუშაგოების დაწესების შესახებ ითვალისწინებს ასეთი თავმოყრის შესახებ ცნობების მიწოდების საჭირო ღონისძიებებს და ქმნის უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების შესაძლებლობას. რკინიგზებზე, ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე და საზღვაო ნავსადგურებში საკონტროლო საგუშაგოების შექმნა შეიარაღებული ძალების მოძრაობისა და გადაჯგუფებისათვის თვალყურის სადევნებლად დიდ დადებითს გავლენას მოახდენდა სახელმწიფოებს შორის ნდობის განმტკიცებაზე და, ამით, ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

სსრ კავშირის 10 მაისის წინადადება, ამრიგად, გვისახავს გზას შეიარაღების შემცირებასა და ატომური იარაღის აკრძალვაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების მეტად რთული პრობლემის გადაჭრისათვის.

საბჭოთა მთავრობამ, ამასთან, გამოთქვა მზადყოფნა მთელი ყურადღებით შეისწავლოს აგრეთვე სხვა წინადადებანი ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევეხოთ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ცნობილ წინადადებას, რომელიც მან შეიტანა ჟენევის თათბირზე, სამხედრო ინფორმაციის გაცვლისა და აეროფოტოგადაღებათა შესახებ. უნდა ვაღიაროთ ბ-ნ პრეზიდენტის წინადადებათა დიდი მნიშვნელობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი ცხადყოფენ გულწრფელ სურვილს ხელი შეუწყონ საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას. სწორედ ამ პოზიციებიდან ვსწავლობთ ჩვენ აღნიშნულ წინადადებას და მის ცალკეულ მხარეებს. ჩვენ, ბუნებრივია, გვაინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია ამ წინადადებას შეუწყოს ხელი შეიარაღების შემცირებას და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის გადაჭრას, ესე იგი, რამდენად უწყობს იგი ხელს ძირითადი ამოცანის შესრულებას — გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და იმ მძიმე ტვირთის შემსუბუქებას, რომელიც მოსახლეობას აკისრია გაბერილი სამხედრო ბიუჯეტებისა და ყოველგვარი საომარი მზადების შედეგად. ხომ სავსებით ცხადია, რომ ხალხები მოელიან განიარაღების პრობლემის განხილვის ისეთ შედეგებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობის განმტკიცებას, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას და მოსახლეობის მატერიალური ტვირთის შემსუბუქებას, რომელიც გამოწვეულია გამალებული შეიარაღებით. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურის გუშინდელ გამოსვლას. მან განაცხადა რომ „შეიარაღების შეზღუდვა ფაქტიურად მიუთწეველია“. ასეთი განცხადება კითხვის ქვეშ აყენებს გენერალური ასამბლეის მიერ შექმნილი განიარაღების კომისიის მუშაობას.

ჟენევის თათბირზე საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ფორმა შეიტანა წინადადება, რომ შემცირდეს სამხედრო ბიუჯეტები და შეიქმნას სამხედრო ბიუჯეტების ეკონომიის ხარჯზე სპეციალური ფონდი ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად. საბჭოთა მთავრობა ჯეროვანი ყურადღებით განიხილავს ამ წინადადებას. ჩვენი აზრით, სახსრები, რომლებიც მიღებულ იქნება სამხედრო ბიუჯეტების შემცირების შედეგად, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შესაბამისი სახელმწიფოების ხალხთა საგადასახადო ტვირთის შესამსუბუქებლად, ისე ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად.

იღებს რა მხედველობაში, რომ სახელმწიფოთა ყოველ ნაბიჯს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და შეიარაღების შემცირების მიმართულებით დიდი დადებითი გავლენა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 1955 წლის 15 დეკემბრისათვის 640 ათასი კაცით შეამციროს საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვი. ეს უკვე სურვილი და პროექტი კი არ არის, არამედ პრაქტიკული დასაწყისია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების არსებითი შემცირების ამოცანის შესრულებისა იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა კავშირს შეეხება. საბჭოთა დელეგაცია გამოთქვამს იმედს, რომ სხვა სახელმწიფოებიც, რომლებსაც მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები ჰყავთ, თავის მხრივ, კეთილი ნების აქტების სახით გადადგამენ ნაბიჯებს თავიანთი შეიარაღებული ძალების შემცირების მიმართულებით და არ დაელოდებიან, სანამ მიღწეულ იქნება შეთანხმება შესაბამისი საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ.

ყველასათვის ცნობილია აგრეთვე, რომ სამხედრო ბაზების არსებობა სხვის ტერიტორიებზე საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას ამ ბოლო დრომდე ჰქონდა მხოლოდ ორი სამხედრო ბაზა თავისი საზღვრების ფარგლებს გარეთ. ერთი ასეთი ბაზა იყო შორეულ აღმოსავლეთში — პორტ-არტურში, და მას ერთობლივად მართავდნენ საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის ინიციატივით გასული წლის დამლევს მიღწეულ იქნა შეთანხმება სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ამ ერთობლივი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სამხედრო ბაზის გადაცემის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულ განკარგულებაში. ეს შეთანხმება შესრულდა 1955 წლის გაზაფხულზე. ახლა საბჭოთა კავშირს შორეულ აღმოსავლეთში არა აქვს არც ერთი სამხედრო ბაზა თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

მეორე სამხედრო ბაზა საბჭოთა კავშირს ჰქონდა ფინეთის ტერიტორიაზე პორკალა-უდის რაიონში. იგი შეიქმნა საზავო ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 1947 წელს, 50 წლის ვადით. საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ახლახან მიღწეული შეთანხმების თანახმად, რომელიც აგრეთვე მიღებულია სსრ კავშირის ინიციატივით, უახლოეს დროში ლიკვიდირებულ იქნება ეს საბჭოთა სამხედრო ბაზაც. 1956 წლის 1 იანვრისათვის მთელი საბჭოთა სამხედრო ნაწილები გამოყვანილი იქნებიან პორკალა-უდის ტერიტორიიდან და ეს ტერიტორია მთლიანად გადაეცა ფინეთის განკარგულებაში.

ამრიგად, იმ ორი სამხედრო ბაზიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირს ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულებებით თავისი საზღვრების ფარგლებს გარეთ, ერთი უკვე ლიკვიდირებულია რამდენიმე თვის წინათ, ხოლო მეორე და უკანასკნელი ლიკვიდირებულ იქნება ამ წლის განმავლობაში. სსრ კავშირს არ ექნება არც ერთი სამხედრო ბაზა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. საბჭოთა მთავრობამ განახორციელა ეს ღონისძიებანი საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების მიზნით.

ამ შემთხვევაშიც საბჭოთა მთავრობა სიტყვიდან საქმეზე გადავიდა. ეს საშუალებას გვაძლევს მივმართოთ სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს, და განსაკუთრებით იმათ, ვისაც მრავალი სამხედრო ბაზები აქვთ სხვის ტერიტორიებზე, რომ ისინიც დაადგნენ მათი ლიკვიდაციის გზას. ეჭვი არ არის, რომ ეს ყველაზე მეტად შეესაბამება გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიზნებს, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისა და „ცივი ომის“ შეწყვეტის მიზნებს.

III.

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა

ხელმძღვანელობს რა საყოველთაო მშვიდობის დაცვის ინტერესებით, საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე დამანგრეველი ომები, მათ შორის პირველი და მეორე მსოფლიო ომები, დაიწყო ევროპაში. ეს ნიშნავს, რომ ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის დაცვისათვის.

სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ დააყენა საკითხი, რომ საჭიროა შეიქმნას ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემა და დაინტერესებული სახელმწიფოების განსახილველად წარადგინა შესაბამისი წინადადება. ეს წინადადება ითვალისწინებს ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, რომელიც დაემყარება ევროპის ყველა სახელმწიფოს ერთობლივ ღონისძიებებს, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, მზად არის განიხილოს სხვა წინადადებებიც, რომელთა მიზანია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა.

ამ საკითხზე საჭირო შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის გაადვილების მიზნით საბჭოთა მთავრობამ ჟენევის თათბირზე შეიტანა წინადადება, რომ სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა გაიყოს ორ ეტაპად.

პირველი პერიოდის განმავლობაში სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის მონაწილე სახელმწიფოები არ თავისუფლდებიან იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც ნაკისრი ჰქონდათ არსებული ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით შესაბამის სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებათა შექმნის პერიოდში. მაგრამ ისინი შეზღუდული იქნებიან ვალდებულებით თავი შეიკავონ შეიარაღებული ძალის გამოყენებისაგან და მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრან ყველა დავა, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მათ შორის. ძნელი არ არის გავიგოთ, რომ უშიშროების აღნიშნული სისტემის მონაწილეთა მიერ ამ ვალდებულების აღება შეესაბამება ამოცანას — არ დაეუშვათ ევროპაში ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობას.

მეორე პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოები სრული მოცულობით იკისრებდნენ ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემასთან. ამასთან ერთსა და იმავე დროს და მთლიანად შეწყვეტდნენ მოქმედებას როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება და პარიზის შეთანხმებანი, ისე „პარიზის შეთანხმებათა“ სანასუხოდ წარმოშობილი რვა სახელმწიფოს ვარშავის ხელშეკრულება.

ჩვენ აგრეთვე შევიტანეთ წინადადება, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ყოფილიყო კოლექტიური უშიშროების მონაწილე სახელმწიფოთა შორის საჭირო კონსულტაციები ყოველთვის, როცა, რომელიმე მათგანის აზრით, ევროპაში წარმოიშობა საფრთხე შეიარაღებული თავდასხმისა ხელშეკრულების მონაწილე ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე, რათა მიღებული ყოფილიყო საჭირო ეფექტიანი ღონისძიებანი ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამ წინადადების თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მხრივ განხილულ იქნება როგორც თავდასხმა მის ყველა მონაწილეზე.

წინადადება იმის შესახებ, რომ სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნა განხორციელებულიყო არა ერთბაშად, არამედ ორ ეტაპად, გამოწვეულია ევროპაში ამჟამად სახელდობრ დაჯგუფებათა არსებობით. ამ წინადადების მიზანია შეამსუბუქოს შესაძლებლობა ევროპის უშიშროების იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე არსებულ სიძნელეთა გადალახვისა, რომელიც დიდად აღელვებს ევროპისა და არა მარტო ევროპის ყველა ხალხს. მაგრამ ეს წინადადება ითვალისწინებს გარკვეულ ვადაში სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის ისეთ განმტკიცებას, როცა ამ სისტემის შექმნის მეორე ეტაპზე უნდა მოისპოს ახლანდელი სამხედრო დაჯგუფებანი ევროპაში, ხოლო მშვიდობისა და სრულიად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა გახდება ევროპის ყველა ხალხის საერთო საქმე.

საბჭოთა მთავრობა დიდი ყურადღებით მოეპყრო იმ მოსაზრებებს, რომლებიც ჟენევის თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს ევროპის უშიშროების

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე 1955 წლის 23 სექტემბერს

(დასასრული)

საკითხზე, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ იდენის მოსაზრებებს, რომლებსაც ახლა განიხილავს განიარაღების კომისია. იგი გამოთქვამს იმედს, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებების, აგრეთვე იმ კონსტრუქციული მოსაზრებების საფუძველზე, რომლებიც ჟენევის თათბირზე გამოთქვეს მისმა სხვა მონაწილეებმა ევროპის უშიშროების საკითხების შესახებ, გამოინახება ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის ისეთი გადაჭრა, რომელიც შეესაბამება ევროპის ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა ევროპაში ძირეულად შეცვლიდა ვითარებას, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო მწვავდებოდა.

ევროპაში ვითარების გამწვავებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს წელს დადებულმა პარიზის შეთანხმებებმა, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და მის შეყვანას დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო ბლოკებში, რამაც, ამასთან ერთად, სერიოზული სიძნელეები შექმნა გერმანიის ერთიანობის აღდგენის გზაზე.

სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნა ხელს შეუწყობს უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას აგრეთვე გერმანიის პრობლემის მოწესრიგებისათვის, მათ შორის გერმანიის ერთიანობის აღდგენის ამოცანის გადაჭრისათვის, რადგან ამ პრობლემის გადაჭრა განუყოფელია სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნისაგან, განუყოფელია იმისაგან, გადაიქცევა ევროპა ახალი ომის პოტენციურ კერად, თუ იგი გახდება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სიმაგრე.

ცნობილია, რომ 13 სექტემბერს, ესე იგი სულ 10 დღის წინათ, საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას (დასავლეთ გერმანიას) შორის მიღწეულია შეთანხმება ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ახლა სსრ კავშირს დიპლომატიური და სხვა ურთიერთობა ექნება არა მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, არამედ აგრეთვე გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან. ეს ხელს უწყობს საზღვაო ურთიერთობის ნორმალიზაციას მთელ ევროპაში. მაშასადამე, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის მიღწეული ნორმალიზაცია ხელს შეუწყობს როგორც საბჭოთა და გერმანელი ხალხების ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას, ისე მშვიდობის განმტკიცებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას იმ ახალ შეთანხმებებზე, რომლებიც სულ უკანასკნელ დღეებში დაიდო მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. ამ შეთანხმებათა მიზანია შემდგომ განვითარდეს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მჭიდრო თანამშრომლობა და განმტკიცდეს მეგობრული ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

რაც შეეხება მთლიანად გერმანიის პრობლემას, ყოველივე ნათქვამიდან ჩანს, რომ ამ პირობებში იგი გადაჭრას ჰპოვებს სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნის გზით.

IV.

გადაუჭრელი პრობლემები შორეულ აღმოსავლეთსა და აზიაში

არ შეიძლება გენერალური ასამბლეის ყურადღება არ მიიპყროს აგრეთვე მდგომარეობამ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. საერთაშორისო პრობლემებს შორის, რომლებიც უნდა გადაწყვიტოთ, აზიისა და შორეული აღმოსავლეთის პრობლემებს განსაკუთრებით გადაუდებელი ხასიათი აქვთ.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ხაზგასმით აღინიშნოს ტაივანის საკითხის მნიშვნელობა. ეს ძველთაძველი ჩინეთის ტერიტორია ჯერ კიდევ არ შეერთებია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რაც სერიოზულად აბრკოლებს საერთო ვითარების ნორმალიზაციას შორეულ აღმოსავლეთში. ზედმეტია დაწვრილებით ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა არის ტაივანის რაიონში შექმნილი მდგომარეობის მიზეზი, რამდენადაც ეს მიზეზი კარგად ცნობილია. თუ ფხიზლად შევაფასებთ ვითარებას, შეუძლებელია არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან ტაივანის, ისევე როგორც ჩინეთის სხვა სანაპირო კუნძულების შეერთებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, უნდა აღმოიფხვრას და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ ყველანი მნიშვნელობას ვაძლევთ ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკებას ჟენევაში, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინიციატივით წარმოეს. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მოლაპარაკება დადებით როლს შეასრულებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეში.

აქ უკვე აღინიშნა, რომ საჭიროა გადაუდებლად გადაწყდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი. ჩვენ მოვისმინეთ აგრეთვე არადამაჯერებელი არგუმენტები ამის წინააღმდეგ. წინააღმდეგნი არიან სწორედ ისინი, ვისაც სურს ჩინეთი დარჩეს ისეთივე, როგორიც იყო წინათ, როცა იქ თავიანთი სურვილისამებრ პარპაშობდნენ უცხოეთის გარკვეული წრეები. მაგრამ მაშინ ჩინელი ხალხი არ იყო თავისი ქვეყნის ბატონპატრონი, არამედ ჩაგვრას განიცდიდა. დროა აღიაროონ, რომ ეს ხანა სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას, რაც შეიძლება მხოლოდ უხარდეს ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ყველა მომხრეს.

საგულისხმოა, რომ ჩინეთმა მხოლოდ მაშინ გაშალა თავისუფლად ფრთები და დაადგა პროგრესის ფართო, მზით გაშუქებულ გზას, როცა დიდმა ჩინელმა ხალხმა თავის ხელმძღვანელად აღიარა ჩინეთის კომუნისტური პარტია. ეს, სხვათაშორის, კარგი ილუსტრაციაა პრობლემისა, რომელზეც აქ ლაპარაკი იყო, — კომუნიზმის პრობლემისა. მაგრამ, თუ სწორედ ამ საბაბით შემდეგშიც დაიბრკოლებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ეს ძირს გამოუთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტსაც და ესოდენ საჭირო მუშაობასაც.

ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ აგრეთვე ის, რომ თუმცა ომი კორეაში შეწყდა, კორეის საკითხი ჯერ სრულიადაც არ არის მოწესრიგებული. ეს იმას ნიშნავს, რომ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა უნდა იხმარონ ღონისძიებანი, რათა გამონახონ კორეის საკითხის საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობა. ახლანდელ პირობებში მისი მოწესრიგების საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ექნებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის კავშირის დამყარებასა და განვითარებას, მათ დაახლოებას იმ მიზნით, რომ შემდეგში მიღწეულ იქნას შეთანხმება კორეის ერთიანობის აღდგენის შესახებ. საჭიროა აღინიშნოს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უკვე პირველად როდი გამოდის კონკრეტული წინადადებებით ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საქმიანი და კულტურული ურთიერთობის დამყარების შესახებ. სამწუხაროდ, სულ სხვანაირად ეკიდება ამას სამხრეთ კორეის მთავრობა, რომელიც არ მალავს, რომ იგი ამზადებს აგრესიულ ღონისძიებებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, სამხრეთ კორეის მთავრობის ასეთი პოზიცია შეუძლებელია სერიოზულად არ უშლიდეს ხელს კორეის საკითხის მოწესრიგებას, რასაც ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს.

ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ მოწესრიგებული აგრეთვე ინდოჩინეთში არსებული მდგომარეობის საკითხი. ჟენევის შეთანხმებებმა ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის შესახებ, რომლებსაც მოჰყვა ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტა, დასახეს ამ რაიონში მდგომარეობის მოწესრიგების გზები იმის აღიარების საფუძველზე, რომ მის ხალხებს აქვთ თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობის უფლება, კანონიერი ეროვნული უფლებები. ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა ძირითადი დებულებანი საერთოდ სრულდება, თუმცა ერთგვარი დაყოვნებით. მაგრამ, უნდა ითქვას, ყველაფერი როდია გაკეთებული იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყდეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც აღნიშნული შეთანხმებებიდან გამომდინარეობენ. როგორც ცნობილია, კონსულტაციები, რომლებიც გთვალისწინებულია ჟენევის შეთანხმებით ვიეტნამში საყოველთაო არჩევნების მოწყობის საკითხში, დღემდე არ დაწყებულა. ამას აშკარად უშლის ხელს სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა პოზიცია, რომლებიც გვერდს უვლიან ჟენევის შეთანხმებათა შესრულებას და დღემდე უარს ამბობენ ამ კონსულტაციებზე.

ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა შესრულებისათვის მიღებულ იქნება საჭირო ღონისძიებანი და რომ არ დაუშვებენ იმას, რომ ჩაიფუშოს კონსულტაციები ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა წარმომადგენლებს შორის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დაწესებულ ვადაში მოეწყოს სრულიად ვიეტნამის არჩევნები, რაც საშუალებას მისცემს ვიეტნამელებს გააერთიანონ თავიანთი ქვეყანა, აღადგინონ ვიეტნამის ეროვნული ერთიანობა.

იმით, რაც ითქვა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობის შესახებ, რასაკვირველია, არ ამოიწურება პრობლემები, რომლებიც აღელვებენ ამ რაიონის ხალხებს. არის ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც ეკუთვნის ამ რაიონში მშვიდობის დაცვას და დაკავშირებულია მისი ხალხების ბრძოლასთან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და უშიშროებისათვის.

ეს პრობლემები განიხილეს ბანდუნგის კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აზიისა და აფრიკის 29 სახელმწიფომ და სადაც განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი შეასრულეს ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიც არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, ინდონეზია. ბანდუნგის კონფერენციის მოწვევა დიდი ისტორიული მოვლენაა, რომელიც მოწმობს, რომ დაიწყო აღმოსავლეთის ხალხთა დიადი მოძრაობა, რომ ისინი იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებმა. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის ზოგიერთი მონაწილე უკვე ჩაბმულია ამა თუ იმ სამხედრო დაჯგუფებაში, რომლებიც უცხოა მათი ეროვნული ინტერესებისათვის, ბანდუნგის კონფერენციამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისათვის.

მას შემდეგ, რაც ინდოეთმა მიაღწია თავის დამოუკიდებლობას და ჩადგა თავისუფალ ხალხთა რიგებში, სულ უფრო იზრდება ინდოეთის რესპუბლიკის, როგორც მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის, მნიშვნელობა. ინდოეთი დიდმნიშვნელოვან და სულ უფრო მზარდ აქტივობას იჩენს ისეთ საკითხებში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ აზიის ქვეყნებისათვის. საბჭოთა დელეგაციის აზრით, სერიოზული ყურადღებისა და მხარდაჭერის ღირსია ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს 19 ივლისის განცხადება იმის შესახებ, რომ საჭიროა ჟენევის თათბირის ტიპის მსგავსად მოწვეულ იქნას კონფერენცია აზიისა და შორეული აღმოსავლეთის პრობლემების განსახილველად. როგორც ცნობილია, ბ-ნ ნერუს ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ბირმის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა უ ნუმ და აზიის ქვეყნების მთელმა რიგმა სხვა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს დიდი მნიშვნელობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის განცხადებისა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ამასწინანდელ სესიაზე, რომელიც მხარს უჭერს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის პრობლემების განსახილველად აღნიშნული კონფერენციის მოწვევის იდეას და გამოთქვამს იმედს, რომ აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონის ქვეყნები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, შეთანხმდებიან ამ რაიონში კოლექტიური მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. კოლექტიური მშვიდობის ასეთი პაქტით ნამდვილად დაინტერესებული არიან აზიის ხალხები, მაშინ როცა სამხედრო ბლოკები, ისეთები, როგორიც არის ეგრეთწოდებული სეატო, პირდაპირ საფრთხეს უქმნიან აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხთა უშიშროებას, საფრთხეს უქმნიან მათს ეროვნულ დამოუკიდებლობას.

აზიისა და შორეული აღმოსავლეთის გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგება დიდ დადებითს გავლენას მოახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

V.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების ამოცანები

ახლანდელ პირობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. მას შეუძლია გამოიყენოს და კიდევაც უნდა გამოიყენოს ყველა არსებული შესაძლებლობა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა უკეთესი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება იწყება სიტყვებით იმის შესახებ, რომ ამ ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებს „მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იხსნან მომავალი თაობები ომის უბედურებებისაგან, რომელმაც ჩვენი ცხოვრების მანძილზე ორჯერ მოუტანა კაცობრიობას აუწერელი მწუხარება“. ეს წესდება მიღებული იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შედიან სახელმწიფოები სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილებით და რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს მათი თანამშრომლობის განვითარებას და მათ მშვიდობიან თანაარსებობას.

იმ პროგრესული პრინციპების სიცოცხლისუნარიანობა, რომლებსაც ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, საკმაოდ დადასტურდა განვლილ ათ წელიწადში მოვლენების მსვლელობით. ისინი შეესაბამებიან ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ინტერესებს, და ამასთან ერთად ხელს უწყობენ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას. რა დიდიც უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობის ესა თუ ის ნაკლი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები და პრინციპები აღიარა ყველა ხალხმა, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობას, თავისუფლებასა და პროგრესს.

გენერალურმა ასამბლეამ ამ სესიაზე უნდა განიხილოს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების გენერალური კონფერენციის მოწვევის შესახებ წესდების გადასინჯვის საკითხის განსახილველად.

საბჭოთა კავშირი იმ აზრის არის, რომ არ არის საფუძველი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვისათვის. წესდება მისი ახლანდელი სახით სავსებით შეესაბამება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა დარგებში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ამოცანებს. წესდების გადასინჯვა, რომლის მიზანია მისი ძირითადი დებულებების შეცვლა, არა თუ არ შეუწყობს ხელს სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განმტკიცებას, არამედ კიდევაც გააძნელებს ამ მიზნის მიღწევას.

ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა ძნელი და რთული საქმე იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შემუშავება. ამასთან ჩვენ უნდა გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის სახელი, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საძირკვლის ჩაყრისას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მომზადების პროცესში, განსაკუთრებით სან-ფრანცისკოს 1945 წლის კონფერენციაზე, საჭირო გახდა უდიდესი ღონისძიებანი, რათა შეგვმუშავებინა წესდება, რომელიც შეესაბამებოდა ძირითად ამოცანას — ხალხთა შორის მშვიდობის დაცვას და რომელიც ამავე დროს მისაღები იქნებოდა ამ ორგანიზაციის ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ფორმების განსხვავებისა. თუ ობიექტურად ავწონით ვითარებას, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ შეთანხმების მიღწევა წესდების ამა თუ იმ დებულების შესახებ, რომლებიც, ზოგიერთი სახელმწიფოს აზრით, შეცვლას მოითხოვს, ამჟამად სრულიადაც არ იქნება ნაკლებად ძნელი, ხოლო შეიძლება უფრო ძნელიც იყოს, ვიდრე ეს ათი წლის წინათ იყო.

წესდება როდია დამნაშავე იმაში, რომ საერთაშორისო ვითარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შემდეგ ყოველთვის არ ვითარდებოდა ამ წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. თუ კი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ნამდვილი მისწრაფება საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისადმი, წესდება, მისი ახლანდელი სახით, საკმაოდ შეესაბამება მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

აღნიშნული მოსაზრებებით საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად არ მიაჩნია გენერალური კონფერენციის მოწვევა წესდების გადასასინჯავად. ამოცანა ის კი არ არის, რომ დავამსხვრიოთ წესდება, არამედ ის, რომ მივაღწიოთ სახელმწიფოთა შორის და, განსაკუთრებით, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა შორის შეთანხმებულ მოქმედებას. ამას მოითხოვს მშვიდობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმატებით მუშაობის უზრუნველყოფის ინტერესები. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გარკვევით განაცხადოს: საჭიროა წესდების შესაბამისად ავამაღლოთ უშიშროების საბჭოს როლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამასთან გავითვალისწინოთ, რომ ამ ბოლო დროს ეს ორგანო აშკარად მთელი ძალით არ მუშაობს და რომ მას წარსულში გვერდს უვლიდნენ მაშინ, როცა საჭირო იყო, რომ სწორედ უშიშროების საბჭოს განეხილა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც დამოკიდებულება ჰქონდათ მშვიდობის დაცვასთან.

საჭიროა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გახდეს ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არა თუ არ წაახალისებს და გვერდს არ აუვლის ყოველგვარ ცდას— შეიქმნას ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებანი, არამედ აქტიურად შეუწყობს ხელს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა შორის ყოველმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობისა და კონტაქტების განვითარებას, ხელს შეუწყობს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ნამდვილ განმტკიცებას.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის საქმე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების მხრივ. ევროპის, აზიისა და აფრიკის მთელი რიგი სახელმწიფოები, მიუხედავად მათი სურვილისა შევიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მიუხედავად იმისა, რომ ისინი აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს უყენებენ, ჯერ კიდევ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ არიან, არ იღებენ მონაწილეობას მის მუშაობაში. ამ მონაწილეობას ხელს უშლის ის დისკრიმინაცია ზოგიერთ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რომლის მიღწევასაც აქ ჯერ კიდევ შეუპოვრად ცდილობენ. საჭიროა ბოლო მოეღოს ამ უსამართლობას.

საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ დაუყოვნებლივ გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხი. ამის მიხედვით, საბჭოთა დელეგაცია აცხადებს, რომ მზად არის მხარი დაუჭიროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ 16 სახელმწიფოს ერთსა და იმავე დროს მიღებას, რომლებმაც ამის შესახებ განცხადებები შემოიტანეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალ წევრთა მიღების საკითხის ასეთი გადაჭრა საკმაოდ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი 16 სახელმწიფოს მიღების საკითხის დადებითად გადაჭრა შეესაბამება არა მარტო ამ სახელმწიფოთა სამართლიან მოთხოვნებს, არამედ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებსაც.

ბატონო დელეგატებო,

ჩვენთვის ყველასათვის ცხადია, რომ მსოფლიოს ხალხები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საერთაშორისო დაძაბულობის დასახულ შენელებას. უკანასკნელი დროის ამბები, განსაკუთრებით მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი, აგრეთვე აზიისა და აფრიკის ქვეყნების პირველი კონფერენცია, რომელიც ბანდუნგში მიმდინარეობდა, დიდ შესაძლებლობებს ქმნიან ამ მიმართულებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირდაპირი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევას, ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას ყველა დარგში: პოლიტიკურსა და ეკონომიურში, კულტურისა და მეცნიერების დარგში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ გაისმის ხმები „ცივი ომის“ განგრძობის სასარგებლოდ. ჯერ კიდევ არიან გარკვეული წრეები, რომელთა ანგარებები ინტერესები და აგრესიული მიზნები კვებავენ დედამიწის სხვადასხვა ნაწილში სამხედრო დაჯგუფებათა შექმნისა და გაფართოების გეგმებს. ისინი ქადაგებენ სხვა სახელმწიფოებისადმი მუქარისა და ზემოქმედების პოლიტიკას, ყოველნაირად უწევენ წინააღმდეგობას სამხედრო ბიუჯეტების, სამხედრო დაკვეთებისა და საომარი მზადების შემცირებას. იმის დამტკიცებასაც კი ცდილობენ, თითქოს ჟენევის თათბირი და მისი შედეგები აღნიშნული პოლიტიკით არის გამოწვეული. მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაქტები ჯიუტი რამ არის — ფაქტები კი გვიჩვენებენ, რომ არა იარაღის ჩხარუნმა და მუქარამ უზრუნველყო ჟენევის თათბირის დადებითი შედეგი. ასეთმა შედეგმა გამოხატა ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი და თათბირის ყველა მონაწილის მისწრაფება გამოენახათ იმ საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისადმი სხვა, უფრო შეთანხმებული მიდგომა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

შეგნება, რომ საჭიროა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა და ისეთი გზების გამონახვა მათი მოწესრიგებისათვის, რომლებსაც მოჰყვება არა „ცივი ომის“ გაღვივება, არამედ ქვეყნებს შორის ნდობის განმტკიცება, აგრეთვე ამ ქვეყნების ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთობაში ნდობის განმტკიცება, — აი რა იყო დამახასიათებელი ჟენევის თათბირისათვის, და ამან მოგვცა თავისი დადებითი შედეგები.

სწორედ ამ გზით უნდა ვიაროთ მომავალშიც იმისათვის, რომ მივაღწიოთ შემდგომ წარმატებებს, როგორც სახელმწიფოთა მომავალ მოლაპარაკებაში მოუწესრიგებელ პრობლემებზე, ისე იმ საკითხებზე, რომლებსაც იხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მშვიდობის საქმისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამართლდება ხალხთა მისწრაფება, რომლებსაც სწყურიათ მშვიდობიანი და დამშვიდებული ცხოვრება.

VI.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადება

დასასრულ საბჭოთა დელეგაციას გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოაქვს რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ

გენერალური ასამბლეა კმაყოფილებით აღნიშნავს სახელმწიფოების ღონისძიებებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ურთიერთ ნდობის განმტკიცება და თანამშრომლობის განვითარება ხალხებს შორის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირს, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციას, აგრეთვე სახელმწიფოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებს შორის კონტაქტების განვითარებას.

გენერალური ასამბლეა მოუწოდებს მთავრობებს განაგრძონ ეს ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის, რათა მიაღწიონ სახელმწიფოთა ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებასა და ნდობის განმტკიცებას.

გენერალური ასამბლეა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ განხილულ იქნას სახელმწიფოთა წინადადებანი, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა მოლაპარაკების გზით, — განხილულ იქნას საბჭოთა მთავრობის ა. წ. 10 მაისისა და 21 ივლისის წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე, ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება განიარაღების იმ წინადადებათა განხორციელების საერთო გეგმის შესახებ, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა წამოაყენა ა. წ. 21 ივლისს, დიდი ბრიტანეთის წინადადება და საფრანგეთის წინადადება, რომლებიც შეტანილი იყო ჟენევაში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოების შესაბამისი წინადადებანი.

გენერალური ასამბლეა განიხილავს ამ და სხვა შესაძლო წინადადებებს, მიაჩნია რა თავის მთავარ ამოცანებად: ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილება, უშიშროებისა და ხელინდელი დღისადმი რწმენის უზრუნველყოფა, მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი და დამშვიდებული ცხოვრებისათვის პირობების შექმნა“.

სსრ კავშირის დელეგაცია გამოთქვამს იმედს, რომ რეზოლუციის ეს პროექტი ჰპოვებს საჭირო მხარდაჭერას გენერალური ასამბლეის სხვა მონაწილეთა მხრივ და რომ მთლიანად ეს სესია იქნება პროდუქტიული, ჩაივლის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და საყოველთაო მშვიდობის და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისადმი მისწრაფების სულისკვეთებით.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურგიკაძე.

უე 06326 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14